რედაქცია
გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გვარამძის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:
ერთის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ნეკროლოგის ასოზე [illegible] ზე მეტი.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“, ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

### ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| ერთის წლით: . . . . . . 9 მან. | სამის თვით . . . . . . . 3 „ |
| ნახევარის წლით . . . . . 5 „ | ერთის თვით . . . . . . . 1 „ |

სხვა გვარად ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. გთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

## ტელეგრამმა

(„სევერნოე ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 11 მარტს. ბუნების გამომჟღავნებელი გერგვი, რომელმან წარმოადგინეთ რუსეთის მწერები შესწავლა, ამავე მიზნით მიდის ახლა კავკასიაში.

რადგან ზოგიერთს გუბერნიაში სახელმწიფო მამულები დაიტაცეს, ამის გამო უმაღლესი ბრძანება გამოვიდა რომ მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს ამ საქმეზედ.

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია იმპერატორისა და იმპერატრიცის ტელეგრამმა იმპერატორ ვილჰელმთან: „იმპერატრიცა და მე გულით და სულით მოგილოცავთ თქვენ დაბადების დღეს და იმ პატივსა და სიყვარულს რომელიც ყოველთაგან დაიმსახურეთ, ჩვენს ნატვრასაც დაუმატებთ, რომ უფალმა მოგანიჭოსთ თქვენ დღეგრძელობა გერმანიის საკეთილ-დღეოდ, ევროპის მშვიდობიანობისათვის და ჩვენი ორი სახელმწიფოს მეგობრობის დასამყარებელად. გაჩინაში სასახლეში სადილი იყო, ხელმწიფე იმპერატორმა მხურვალედ წარმოსთქვა იმპ. ვილჰელმის სადღეგრძელო.

### პეტერბურღის ბირჟა, 11 მარტს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96 — | 25 |
| მეორესი — — — — | 91 — | 12 |
| მესამესი — — — — | 91 — | $50^1/_2$ |
| მეოთხესი — — — | 91 — | 5 |
| მეხუთესი — — — | 90 — | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90 — | 37 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 — | $87^1/_2$ |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 — | „ |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი | 8 — | 15 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 216 — | $50^1/_2$ |
| მეორე სესხის — — | 211 — | 25 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24 — 12 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205 — 50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 254 — 75 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

### დღიური

მოგვყავს სიტყვა თფ. ქალაქის თავისა, რომლითაც იმან მიმართა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვს, როდესაც ქალაქის წარმომადგენლები გამოეცხადნენ ქალაქში შემოსვლისათანავე ვერაზედ:

„თქვენო ბრწყინვალებავ!

„პირველად არ გხედავს თქვენ ჩვენი ქალაქი. მაგრამ ბევრი რამე გამოიცვალა მას აქეთ, რაც თქვენი ბრწყინვალება პირველად ბრძანდებოდა კავკასიაში.

„მაშინ კავკასია იყო წარმომადგენელი დაუბოლოებელ ომებისა; ახლა კი ის არის ერთი პროვინციათაგანი დიდებულ რუსეთისა და ყველაზე უფრო სწყურიან მშვიდობიანობა, რომელიც ასე საჭიროა ყოველ გვარ მოქალაქობრივ წარმატებისათვის.

„ამ წარმატების საქმე ჩვენ ავგუსტოს ხელმწიფემ თქვენს ბრწყინვალებას მიანდო და ამიტომ ამ პირმარილით, მოგესალმებით ქალაქის მცხოვრებთა სახელითა და ვკადნიერობ გამოვაცხადო საზოგადო სურვილი, რომ დაგვირგვინებულ იქმნეს ყოველი კეთილი საქმე, რომელსაც თქვენ იწყებთ ჩვენის მხრისა და ქალაქის წარმატებისათვის.“

შემდეგ ქალაქის თავმა ბ. ა. ს. მატინოვმა მიმართა თ. დონდუკოვ-კორსაკოვის მეუღლეს კნეინა ნადეჟდა ანდრიას ასულს და რამდენიმე მისასალმებელი სიტყვა უთხრა იმასაც.

ამის პასუხად თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

სიტყვა თ. დონდუკოვ-კორსაკოვისა.

„გულითად მადლობას გიძღვნით, ბატონებო, კეთილის ნატვრისათვის და აღელვებული ვარ თქვენის გულწრფელის მოგებებით.

„თქვენ, რასაკვირველია, გაიგებთ იმ მღელვარებასა და გრძნობას, რომლითაც აღსავსეა ჩემი გული ახლა, როდესაც შემოვდივარ ამ ქალაქში და ამ ქვეყანაში, რომელთანაც და-



### მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

ერთს დღეს, მთელი სოფლის ყმაწვილ-ქალობა ზერგეტის მთაში, სადაც „ქუბი“ და შავი ხილი უნდა მოეკრიფათ, წასასვლელად ემზადებოდნენ. ამ გვარად ისინი ყოველ ზაფხულს რამდენჯერმე შეიყრებიან ხოლმე და არა იმდენად ხილის მოსაკრეფად, რამდენადაც დროს გასატარებლად და გულის გასართობად გაისეირნებენ ხოლმე.

ქალები გროვდებოდნენ „ფოლორცში“ და ელოდნენ თავ-თავიანთ მეგობრებს, ამხანაგებს.

— მახიაისა, მეც ხილობ წავალ? მიექცა ნუნუ თავის ძალუას.

— წადი, რაი მენაღვლების? უპასუხა იმან და როგორღაც უცნაურად გაიღიმა. — მე თითონ მინდოდა გამეგზავნე, გულს გაირთობ, თორემ აგერ რამდენი ხანია, პირზედ ღიმილიც არ მოგსვლია.

ნუნუმ ამოიოხრა, წყნარა აიღო კალათა ხელ'ში და პასუხ-მიუცემლივ გავიდა გარეთ.

ნუნუს გასვლაზედ, მახიას სრულებით შეეცვალა სახე და განსაკუთრებითი ზრუნვა დაეტყო.

ის მივიდა, გააღო წყნარა კარი და იქიდგან დაუწყო ყურება ნუნუს, რომელიც მიეშურებოდა თავის ტოლ-სწორ ქალებისკენ. რა წამს ნუნუ მოეფარა სახლებს მახიამ მოუთმენლად დაუწყო ძახილი ერთს პატარა ბიჭს, რომელიც იქვე კოჭებ თამაშობდა.

იმან მოირბინა საჩქაროდ, ჩაიყარა კოჭები ჯიბეში და დაუწყო ყურება დედას.

— ზაირე ჩქარა და ბირგოლას უთხარ ცხლავ აქ ამოვიდეს... უთხარი, რომ ძალიან საჭირო საქმე მაქვს-თქო.

ამ სიტყვებზედ ბალღი გაბრუნდა და სირბილით წავიდა, მახია-კი შინ შევიდა, სადაც მოუსვენრად მოელოდა ბირგოლას, რომელსაც უნდა აღსრულებაში მოეყვანა თავისი სურვილი, რომელსაც ისე შემწეობდა ნუნუს ზერგეტის მთაში წასვლა.

ქალები მხიარულად, სიმღერით და თამაშობით გაემგზავრნენ ზერგეტისაკენ. იმათ ოხუნჯობას და ერთმანერთში ლექსობას ბოლო აღარა ჰქონდა.

მთელის თვეობით დამწყვდეულნი და მუშაობით თავ-მობეზრებულნი, ეხლა ისინი ჰგრძნობდნენ სრულს თავისუფლებას და ნამდვილს გულწრფელს მხიარულებას ეძლეოდნენ.

ამათ მიზდევდა ნუნუ, როდისღაც მხიარულების, ლხინის და თამაშობის მოთავე, დაღონებული, შეწუხებული და დაფიქრებული. მარინე, იმისი მეგობარს, რომელიც ჩამოსულიყო სხვა სოფლიდგან და გვერდით მიზდევდა, ვერ გაებედნა ხმის გაცემა თავისი მეგობრისთვის, რათა ნუნუს დამალონებელის საგნის შეხებით, მეტად არ დეელბო იმისი გული და ცრემლები არ გადმოსდენოდა იქ მყოფი ქალების სასაცილოდ და საოხუნჯოთ.

ასე მხიარულად და ლაღობით ქალები შევიდნენ წმიდა სამების ტყეში, რომელიც ხატის ტყეთ ითვლება და ამ შემთხვევას, იმ გარეგანი შეხედულების დასამშვენებლათ გადაურჩენია.

ყველანი გაეკიდნენ მარწყვს, ხახამას, შავ ხილს და ჭუკსა; ასე რომ ნუნუ და მარინე სხვების შეუნიშნევლად დაშორდნენ ამხანაგებს, ჩავიდნენ მდინარე ჩხერის პირსა, სადაც პირები დაიბანეს და დასხდნენ.

ისინი კარგა ხანს ისხდნენ ჩუმად და ერთმანერთს ხმის გაცემას მაინც ვერ უბედავდნენ.

— რაი ამბავია, რად არას მეტყვი? ბოლოს გაწყვიტა სიჩუმე მარინემ.

— რაიღა გითხრა? მხრების აწევით წამოიძახა ნუნუმ. ჩვენებმა ურვათი სულ აიღეს, მე საქორწილო ტარიელს მიკერამენ, ბირგოლაიც ქორწილს ემზადება თურმე და იაგოსი-კი არა იმის-რა. წარმოუდგენელის მწუხარებით დაიწყო ნუნუმ და ცრემლები მოერია თვალებში.

*) იხ. „დროება“ № 49.

კავშირებულია ჩემი ყმაწვილობისა და სამსახურის საუკეთესო და ყველაზედ ბრწყინვალე მოგონებანი.

„ხელმწიფის ნებით მე დანიშნული ვარ კავკასიის მთავარ-მმართებლად ისეთს დროს, როდესაც დროების მოთხოვნილებათა შესაფერი ცვლილება უნდა მოხდეს და ამიტომ არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ მძიმეა, ერთობ დიდია ჩემი ტვირთი, იქნება შეუძლებელიც ჩემთვის. მხოლოდ ერთში შემიძლია დაგარწმუნოთ ჩემის სიტყვით, რომლისთვისაც მე არასოდეს არ მიღალატნია, რომ რაც კი სიცოცხლე, ძალ-ღონე და გონება მრჩება, ერთიანად და მთელის გულით შევსწირავ სამშობლო კავკასიის, ჩემთვის ძვირფასის ქვეყნის სამსახურს.

„მოწიწებით ვიგონებ სახელს თავადის ვორონცოვისას, რომელიც მუდამ სახსოვარია ყველა კავკასიელისათვის, წმინდათ ვიცავ იმ დიდებულ აზრებს რომლითაც ის თავის გამგეობაში ხელმძღვანელობდა, მახსოვს ის მამობრივი მზრუნველობა, რომლითაც ის შვიდმეტის წლის განმავლობაში—საუკეთესო წლებისა ჩემს ცხოვრებაში, გზას მიმართავდა ჩემი სამსახურის პირველ ასპარეზე;—ამ ძვირფას მოგონებაში მე მოვძებნი და მოვიპოვებ ძალასა და გზა-კვალს ჩემს მომავალს მოქმედებაში.

„ამასთანავე მე არც ის მავიწყდება, ბატონებო, თუ რამდენად ულონოა უფროსისა და ადმინისტრაციის მოქმედება, თუ საზოგადოების დახმარება და თანაგრძნობა აკლია. სიტყვით კი არა, საქმით მაქვს მე იმედი დავიმსახურო თქვენი ნდობა. და მაშინ გთხოვთ, ბატონებო, ნუ მომაკლებთ, ნუ დამიშურებთ თქვენს თანაგრძნობასა და შემწეობას, რომელიც აუცილებელად საჭიროა ავგუსტოების ხელმწიფის კეთილ-განზრახულებათა შესასრულებლად სამშობლო კავკასიის საბედნიეროდ და საკეთილ-დღეოდ და სასარგებლოდ ჩვენის საზოგადო ძვირ-ფას სამშობლოს—რუსეთისა. მაშ პატიოსნად, ამხანაგურად და ერთგულად ვილტოდეთ ამ მაღალ მიზნისაკენ და ამ საქმეში ჩვენი შემწე იყოს უფალი, რომლის უკურთხებლად კაცი ულონოა ყოველ საქმეში.

„ერთხელ კიდევ გულითად მადლობას გიძღვნით, ბატონებო. ამისთანა თანაგრძნობით მიღებისათვის“.

ბოლოს შემდეგის სიტყვებით მიმართა ქალაქის წარმომადგენლებს:

ტფილისში რომ მოვდიოდი პეტერბურღიდამ, მისმა უმაღლესობამ მიხეილ ნიკოლოზის ძემ, ადრინდელმა კავკასიის ნამესტნიკმა მომანდო მე თავის გულითადი სალამი და კეთილის ნატვრა გადმოვცე ქ. ტფილისს. ჩემგან ჩამოთვლა საჭირო არ არის ბატონებო, მისი უმაღლესობის თვრამეტის წლის ნაყოფიერ მოქმედებისა კავკასიაში: ეს მოქმედება თვალთ-საჩინოა ყველა თქვენგანისათვის და ყველამ იცით თუ რა წრფელის გულით უყვარს იმას კავკასია. ამიტომაც მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა აქ მყოფთ გრძნობას გამოვაცხადებ, როდესაც, ტფილისში შესვლის წინათ, დავიძახებ „ურას“ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სამადლობელად და სადიდებლად“.

***

მშვენიერად გაჩაღებული იყო გუშინ ქალაქი თ. დონდუკოვ-კორსაკოვის მოსვლის გამო. ყველგან ფერად-ფერადი დროშები და ბაირაღები ფარფარებენ, ხალიჩები, ფანრები. მთელი ნასადილევი თითქმის შუაღამემდინ უანგარიშო ხალხი დატრიალებს ბულვარზე. განსაკუთრებით კარგი სანახავი იყო ჩირაღდანითა და კუპრით გაჩაღებული სოლოლაკის მთა, მთა-წმინდა და არსენალი.

***

ძლივს გაგვეხსნა ფოთი-ტფილისის რკინის გზა. სურამის ქედის გზა გაუწმენდიათ და ფოთსა და ტფილისს შუა მატარებელი ახლა დაუბრკოლებლად დადისო.

***

ფოთიდამ გვატყობინებენ, რომ ერთს იქაურს სასტუმროსა, სახელდობრ შაკოსას, ამ თვის 10-ს გასჩენია ცეცხლი და რამდენიმე საათის განმავლობაში ეს სასტუმროც და იმის მეზობელი სამი სახლიც ნაცრად ქცეულა.

## კიდევ სახაზინო მამულების იჯარაზე

(წერილი რედაქციაში)

ამ წლის „დროების“ მე-43 ნომერში დაბეჭდილია სტატია იმის თაობაზედ—თუ როგორ სჯობიან სახაზინო მამულების იჯარით გაცემა, რომ მხვნელ-მთესველი ხალხი დაჩაგრული არ დარჩეს და რა წესი უნდა დადგინდეს ამ შემთხვევისთვის.

რადგან ამასთანავე თქვენი გაზე... გვაუწყებს რომ მთავრობა ... ამისი შესახებ კანონების ... საო, ამისთვის უმორჩილესად გთხოვ... მეც ჩემი აზრი მათქმევინოთ ამ ... ნის შესახებ, ეგების როგორმე მი... ნოთ ღონისძიება უსამართლო... მოსპობისა: „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გუ... ლისაო“, ქართული სიბრძნეა.

თუ მარტო იმ აზრს დავადგებით, რომ სოფლის ხალხს მოვაშორო... ზურაბიანცები და ბასპარიჩები, მაშ... ერთი კანონი კმარა: სახაზინო მამუ... ლი იჯარით მიეცესთ მხოლოდ იმა... ვინც თითონ შეიმუშავებს საიჯარ... მამულს, ან იხმარს საკუთრივ თავ... საჭიროებისათვის. მაგრამ ვაჭრობა... ვაჭრობას არ ეგვანება თუ შეცილ... აღარ მოხერხდება, რადგან თვითო... პირს შეადგენს და ბევრი სოფლებ... არ შეადგენენ სხვა-და-სხვა აზრსა.

ამასთან ყოვლად საჭიროა ჩამოც... ცალოთ სახაზინო მამულებს უსარ... გებლო ხარჯი ჩინოვნიკებზედ და კან... ცელარიებზედ. აი, ვსთქვათ, ზურა... ბიანცის მოყვანილი ორი ტორ... უთუოდ ცოტაოდენს ხარჯს არ მო... თხოვდა მთავრობას; სოფლის ხალხ... იეფად არ დაუჯდებოდა პირველ... ტორგის მოშლა და მეორესი ... სოფელში, მიწვევა.

ჩემის შეხედულებით, ამ საქმე... ეს წესები უნდა იქმნეს შემოღებ... ლი:

ა) ეს მამულები სოფლებს უ... მიეცეს სამუდამოდ და ამისი შემო... ვალი, შუათანა იჯარაზედ ნაკლ... ხარჯის ფურცლებში დაეწეროს გლ... კაცობას;

---

— მაშ არ იშლიან, ნინიაზედ გათხოვებენ?

— მათხოვებენ. ძალონებით უპასუხა ნუნუმ და მწარე ღიმილით დაუმატა:—ღვთის მადლმა საქორწილო ტარაველი სუდარათ გადამექცევა და ნინია-კი თავის სახლში ვერ მნახავს.

— მაშ რასა იქ?

— მაგას ქვეყანა და თემი გაიგებს.

— ბედშავო ჩემო თაო! მაშ იაგო რომ არ მოვიდეს, აღარ გასთხოვდები?

— არა.

— რაისთვი არა?.. იქნება იაგო კიდეც გამოუშვეს და ვინ იცის საით წავიდა.

— რას მეუბნები მარინესი? გაიკვირვა ნუნუმ.

— მართალს ვამბობ, ღვთის მადლმა.

— ნუ მეუბნები მაგას, თორემ გიშულდებ! გაჯავრებით შეძახა ნუნუმ და შეიჭმუხნა წარბები.—იაგო მე საით მიღალატებს, ერთურთისთვი ღვთის ფიცი გვაქვს მიცემული?..

— შენ იცი. უპასუხა მარინემ და ჩაფიქრდა.

მარინე თითონაც იყო, თითონაცა ჰყვანდა „გულის საყვარელი“ და თითონაც არაფიზედ და არაფრისთვის გასცვლიდა თავის სატრფოს, არ ულალატებდა იმას, მაგრამ რა ნუნუს მწუხარებას ხედავდა და იაგოს დაბრუნება-კი საეჭოდ შექნილიყო, ამისთვისა სცადა იმის სახელის ამოფხეკა ნუნუს გულიდგან. მაგრამ რა შეამცნივა ნუნუს ისეთი გაჯავრება ამ სიტყვებზედ, ის მაშინათვე გაჩუმდა და ნანობა დაიწყო წარმოთქმული სიტყვებისთვის.

— მაშ ვერ დაივიწყებ იაგოს? ჰკითხა რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ.

— ვერა, ვერა მარინესი, სიკვდილს ვირჩევ იმის თავის დანებებას... ის ჩემი გულისთვის დაიჭირეს, დაჰკარგეს და მე საიდლა ულალატო?

— მართალს ამბობ, არ გეღალატების. დასთანხმდა მარინეც.

— რაით-ღა უშველო, რაიღა მეწამლების? ჩამოვდნი, ჩამოვხმი იმის მოლოდინით და ჩემთვის ნუვეში აღარსაით გაჩნდა. რომ საითმე შემეძლოს, თავს გავიყიდი და იმას-კი გადავარჩენდი.

ამ სიტყვების დროს, გადაიწია ტყის შტოები, და რამდენიმე შეიარაღებული კაცი გადმოხტა შეშინებულ ქალებთან, რომლებიც წამოცვივდნენ და ერთმანერთს მიეჭუჭკნენ.

ამ კაცებთ შორის ქალებმა იცნეს ზირგოლა, რომელიც პირ-და-პირ მივიდა ნუნუსთან, მოგლიჯა თავის მეგობარს და დაცინვით უთხრა:

— ახლაც უარს იტყვი?

ნუნუ შიშისაგან ცახცახებდა და მთლად დაკარგულიყო. მარინეც გაფითრებული, ერთს ადგილს გახევებულიყო.

— მოვიდეს და გიშველოს იაგომ. გაიმეორა ზირგოლამ დაცინვით.

— გამოიარე წავიდეთ. თითქმის ბძანებით უთხრა ზირგოლამ და გადმოუბრიალა თვალები.

— სადა? დაფანტვით იკითხა ნუნუმ.

— მაგისი მე ვიცი! კიდევ ჩაიცინა ზირგოლამ და გამოსწივა მაჯას.

ნუნუ თითქოს მაშინ მოვიდა გონს, ზირგოლასთვის მოულოდნელად გაიბრძოლა დი გაეშვებინა.

— არ წამოვალ, ცოცხალის თავით! შეჰყვირა იმან და თვალები გაღუებულს ნახშირსავით აენთო.—არ გავთხოვდები შენ ძმაზედ, ის მე მეჯავრება, შენცა მძაგხარ, ორნივ დიაცები ხართ, მშიშრები... —

— გამოიარე მეთქი! დაუღრიალა ზირგოლამ და გაავლო ხელი.

— ჰაჰაი! დიაცებო, დიაცებო! ჭუდი რაისთვი-ღა ქხურავთ, თუკი დედაკაცზედ ეგეთს ძალას მიიტანდით მაი ჩემი მანდილი მოიხვიეთ ეგ თქვენ უფრო დაგშვენდებათ. იბძოდა ნუნუ, მაგრამ რას გახდებოდა გამხეცებულს ზირგოლასთან, რომელსაც მაგრა გაევლო ხელი და მიათრევდა.

— მომეშველენით, დაუძახა ზირგოლამ თავის ამხანაგებს რომელ... დონჯ შემოყრილნი იდგნენ და ... იყურებოდნენ, თითქოს იმათ თვალ... წინ არა ხდებოდარა. ისინი, ზირგო... ლას სიტყვებზე, მისცვივდნენ ნუნუ... ასწიევს ცივ-ცივ და წაყვანა დაუ... რეს

მარინე რომელიც იქამდინ უსიტ... ყოდ იდგა, ეხლა მოვიდა ერთბაშ... გონსა, მოიგლიჯა თავიდგან მერდი... ნი და კაცებს ჩაუგდო შუაში.

— ჩემს მერდინს დასდეთ პატი... ჩემს მერდინს აპატიეთ! დაიძახა იმა... დარწმუნებულმა, რომ ეს საზოგადო... მთის ჩვეულება შეწყნარებული იქნე... ბოდა იმ კაცებისაგანაც.

შვილის მამკვლელზედ, გამწარე... ბულ მამას, იარაღით ხელში, რომ... მიეწია, ისიც სცემდა ქალის თხოვნ... პატივს და რა კი მერდინი გაეფინებო... ფეხთან, ისიც უკან დაიხევდა, მაგრა... დიანბეგებთან გარყვნილი ზირგოლ... რომელსაც გადელახა მთის ხალხ... ნამუსი და ჩვეულება, რას დაგიდევ... ქალის თხოვნას, ქალის ლეჩაქს, რო... მელსაც ისეთი საპატიო მნიშვნელ... ბა ჰქონდა როდესღაც მთაში.

— აჰუ! ხელის ჩაქნევით დაიძახ... მარინემ.—თქვენ კაცები აღარა ყო... ფილხართ!—ნამუსიც დაგიკარგავსთ და სირცხვილიც.

ბ) თუ მამული დიდი იყოს, ან სოფლებს შორის შეცილება მოხდეს, მამული და მისი ხარჯი განაწილდეს მათ შორის;

გ) დავა-დარაბის შედეგი სოფლებს დაედვას კისრად, რომ უსაბუთოდ არ დაიწყონ ხოლმე და მით ზარალში არ შეიყვანონ ხაზინა;

დ) ამასთანავე დავა-დარაბის შედეგი გამოუცხადდეთ იმ სოფლებს, რომელთაც მამა-პაპით უჭირავს სახაზინო მამული;

ე) მამულების სიები გადაეცეს პოლიციას და მასვე მიენდოს შემდეგში ზედამხედველობა თვინიერ მიცემა-გამართვის უფლებისა;

ვ) საკუთრივ სახაზინო მამულებისთვის დადგენილი კანცელიარიები და ჩინოვნიკების ლეგიონი დაუქმდეს;

ზ) მამულების შესახებ სოფლების ინტერესის დაცვა მიენდოსთ: მომრიგებელ მოსამართლეებთან — მაზრის უფროსებს და საზოგადო სასამართლოში—ერთს ნაფიცს ვექილთაგანს, რომელსაც დაენიშნება ჯამაგირი და სოფლელებისგან ველარას აიღებს.

ამ გვარი მამულის ხმარება საზოგადოდ სახელმწიფოსათვის სასარგებლოა, რადგან მხმარებელნი უფრო გულს-მოდგინედ შეიმუშავებენ და შრომაც მეტს ნაყოფს გამოიღებს ეხლანდელზედ და მამულიცა. ეხლანდელი ხმარებაკი დაშურებისა და ნაყოფიერობის წინაალმდეგი.

ა. ჭყალიაშვილი.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

—

ოზურგეთი, 6 მარტს. არა-ერთხელ ყოფილა გაზეთებში გამოცხადებული, რა გვარს შეწუხებულს მდგომარეობაშია გურია ავაზაკების გამრავლების მიზეზით. ეს ორი-სამი წელიწადია, რა საძაგელი საქმეები არ მოხდა გურიაში? ეპისკოპოსის თავზედ დაცემა, მისი შეურაცხყოფა და გაცარცვა, დილიჟანსის გზაზედ თავსდაცემა, კაცების დახოცა და გაცარცვა. მაზრის უფროსის თანაშემწის თ. ან. ნაკაშიძის მოკლა და სხვა ურიცხვი კაცთა-კვლა, სახლების წვა, ქურდობა, ცარცვა და სხ. ვფიქრობდით რაიმე ზომას მიიღებს ამ საგანზედ მართებლობა ამის მოსასპობათა,—ხან ქვეითი სოტნა გურიის დრუჟინისა მოიყვანეს, ხან ცხენოსნის, და თითო-ოროლი თვის შემდეგ ისინიც წაიყვანეს და ხან სულ დატოვეს; მაგრამ ამით არა თუ მოიკლო ამ გვარ საქმეებმა, არამედ სულ თან-და-თან მატულობს.

ის ყაჩაღები (ფირალები), რომელნიც ოზურგეთის მახლობელ სოფლებში ცხოვრებენ და საზარელს საქმეებს ჩადიან, ამ ზამთრის დიდს თოვლში ძლიერ ადვილი დასაჭერი იყვნენ, მაგრამ ცხენოსანი კაცები ამას ვერ მოახერხებდნენ და ქვეითი გურულების სოტნა ოზურგეთში აღარ არის.

ამ ყაჩაღებს სოფლებში, როგორც ნამდვილად ამბობენ, პატივცემულნი პირნი ინახვენ თურმე და იმათის შემწეობით და წინამძღომლობით არიგებენ თავის საქმეებსო.

ამ წინა დღეებში ყაჩაღებს ოზურგეთის ვაჭრის ა. თუმანოვისათვის ოცი თუმანი ეთხოვათ; ამ უკანასკნელს არ გაეგზავნა და ამის გამო 26 თებერვალს ღამით დაეცნენ ავაზაკები შუაგულ ოზურგეთის ქალაქში, სახლში ველარ მოახერხეს შესვლა და გარედამ ესროლეს თოფები მოსაკლავად; მაგრამ ტყვიამ ფიცრებში ვერ გაატანა და ამის გამო გადურჩა. მაგრამ მაინც შეწუხებულია, სამი-ოთხი დაიარაღებული გურულები ყარაულათ დაიყენა და ისინი იცავენ.

დღემდინ გურიაში სოფლებში იყო შიში და ქალაქისაკენ მოეშურებოდენ თავის საპატიებელად და ახლა ოზურგეთშიაც დიდი მოუსვენრობაა, ყველა შიშშია, ყარაულებს ქირაობენ, გზაში ვერ დადიან, სახლში ვერაფერს ინახვენ, სოფლებში ოჯახობაზედ და სახლ-კარობაზედ ხელ-აღებულნი არიან. ამისთანა ცუდს მდგომარეობაში გურია არასოდეს არ ყოფილა.

კარგი იქნება, ქუთაისის ღუბერნატორი ამ ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას რომ ახალ მთავარ-მართებელს გააგებინებდეს და ზომას მიიღებდენ, თორემ მოკლეს დროში უარესობას მოველით.

გურული.

## ტფილისის სამკურნალო.

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარძლევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და

---

— იყბედე, იყბედე ეგრე, ბევრს გააწყობ! ნიშნის მოგებით და დაცინვით უპასუხა ზირგოლამ.

— მე არ გავაწყობ, მაგრამ მაგასაც მამის ძმანი ჰყვანან, არ შეგარჩენენ ზირგოლაისამ.

— ქალაუ რას გადამეკიდე, რაი გინდა?

— ის მინდა, რომ ნამუს ნუ გვხდით! ქაცები ხართ ქუდები გხურავსთ.

— ონისეს ნებითა ვარ აქა, იმან დამარიგა რომ გაგიტაცებენ რაი გინდა, ეის ქომაგათ გამოდიხარ!.. ახლა.

— ქი მომშორდი ღვთის მადლმა, თორემ ემაგ ალაგზედ გაგაქრობ.

— ვის გააქრობ, შე წუწკო დიაცო, შენა? შესძახა იმან და გაავლო ხელი ერთმა ბიჭმა, რომელიც გადმოხტა ტყიდგან.—აქეთ მოდი თუ კაცობა რაიმე გაქვს, აქეთა.

ზირგოლამ იცნო ქობა, მარინეს გულთა ძგერის მიზეზი, რომელიც მთაში სანადიროდ მიმდინარეყო და ხმაურობაზედ შემობრუნებულიყო იმ ტყეში.

ქობა და ზირგოლა მოხვდნენ ერთმანეთს და დაიწყეს ბრძოლა; ორნივ ძალოვიანები შეხვდნენ და ორნივ ხერხიანათ უვლიდნენ ერთმანერთს.

ზირგოლა ცდილობდა ქობას ფლატეზედ გადაგდებას, მაგრამ ქობამ შეუტყო ეშმაკობა, მოიკრიფა უკანასკნელი ღონე და ძალზედ დასცა ზირგოლა; მას უკან ამოიღო ხანჯალი და რა გულში ჩაცემას უპირებდა უკანიდგან ზირგოლას ამხანაგი მოეპარა დაჰკრა თოფის კონდახი ქობას შემაღლებულს ხელში და ხანჯალი გააგდებინა, ზირგოლამ ისარგებლა ამ წუთით და წამოუდგა ზეზე, ქობა მარცხენა ხელით დასწვდა ხანჯალს და გამწარებულმა შეუტია ოსს, რომელმაც ხანჯალი გააგდებინა.

ოსმა წადგა რამდენიმე ნაბიჯი უკან და მოუშვირა თოფი, ქობა მარდათ გადახტა, აუკრა თოფის ტუჩს ხელი და თითონ ასეთის ძალით ჩასცა ხანჯალი მკერდში, რომ ტარიც ნახევრამდინ ჩაიმალა იარაში.

ქობამ გამოაძრო ჭრილობიდგან ხანჯალი, მიხედ-მოიხედა და თავის გვერდით ველირავინ დაინახა. ზაიქცა იმ მხარეს, საითკენაც დანარჩენი ოსები ნუნუს მიათრევდნენ და სერზედ შეამჩნივა რამდენიმე ცხენოსანი, რომელნიც მიაჭენებდნენ. ესენი გახლდნენ ზირგოლა და იმისი ამხანაგები, რომელითაც პატარძალი მიჰყვანდათ ზირგოლას ძმის ვანისეთვის.

ქობამ ჯავრით კბილები გაუხრჭიალა, რადგანაც ცხენოსნებს ვეღარ მოსწვდებოდა.

— დამაცადე ზირგოლაო. დამაცადე, დაემუქრა ქობა და მოუქნია მუშტი.—თუ შენ ხელიდგან წამიხველ და ჩემი ჯავრი შეგარჩინე ეს ულვაშებიმც ნულარ მესხმის.

მაშინ მოაგონდა თავისი საყვარელი მარინე რომელსაც ბრძოლის დროს შიშისაგან გულს შემოჰყროდა და გახურებულს და აღელვებულს ქობას-კი ვერ შეენცნივა.

როდესაც დაბრუნდა ქობა ბრძოლის ველზედ, იმან პირველად მოკლული ოსი დაინახა, რომელიც გულაღმა გადაბრუნებულიყო და სიკვდილს მწარეთ დაემახინჯებინა დაღმიჭა პირი-სახე.

ქობამ სიზიზღით შეხედა იმას და დაიძახა:

— რაზედ მომაკვლევინე თავი, რაზედ გამრიე შენს სისხლში?

მერე მობრუნდა, დაინახა გულ შემოყრილი მარინე და შეშინებული გაქანდა იმისკენ.

იმას ეგონა, რომ რურუდანაც დაჭრილი იყო, და ამისთვის მწარეთ წამოიძახა.

— დიაცების ხოცის დროც მოვიდა, განა? სიკვდილი არა სჯობს ამ სიცოცხლესა?!

მაგრამ რა წამს დეეხარა თავის საყვარელს ის მაშინვე გონს მოვიდა და რა ქობა ფათერაკს გადარჩენილი, უვნებელი და კარგა მყოფი დაინახა, გულმა ველარ გაუძლო და მადლობის ნიშნად ცრემლები გადმოედინა.

ის მაგრა მოეხვია ქობას და დარწმუნებული, რომ ყველა უსიამოვნება ასცდათ დაუწყო იმას გატაცებით კოცნა და ალერსი.

სამწუხაროდ, გრძნობისაგან აღელვებულები, ჩქარა უნდა გამოსულიყვნენ სასიამოვნო თავდავიწყებიდგან და სიმწარე ჭეშმარიტება გაეგოთ და ეს კი ქობას, როგორც კაცის მკვლელს, აშორებდა თავის ქვეყანას, თუ თავის ტუსაღად ჩაგდება ან სიკვდილი არ უნდოდა.

ისინი შეკრთნენ, დაფიქრდნენ, მაგრამ ჩქარა გაიგეს თავიანთი მდგომარეობა. ამიტომაცა ისე საჩქაროდ გამოეთხოვნენ ერთმანერთს, თუმცა ეს დაშორება ყველაზედ ძნელი იყო იმათვის.

ქალი გეერია დანარჩენს ქალებს, ქობამ-კი თოფს წამოავლო ხელი და გასწია ვინ იცის, საითკენ....

—

ამავე საღამოს, იმის შეუხედავად, რომ ნუნუ ხმა მაღლა უარს ანბობდა თავის გათხოვებაზედ, იბრძოდა და არა დგებოდა ს. ხ. საყდარში ღვდელმა ნუნუ და ნინია, ძალად შეაუღლა იმ უღლით, რომლიდგანაც დაშორება ხალხის ხელში აღარ იყო....

(დასასრული პირველის ნაწილისა)

ა. მოხსუბარიძე.

უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი — მარლკების სისუსტის ავათმყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი — მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

პარასკევს, 19 მარტს

თბილისის კლუბში

გაიმართება

## ბაშვებისსაღამო

ნისლოვანი სურათებით, კითხვით, მუზიკით და ცეკვით.

ბილეთები ბავშვებისა 50 კაპ., ქალებისა 1 მან., ვაჟებისა 2 მ. ისყიდება შავერდოვის მაღაზიაში და კლუბის მცველთან.

**ქალაქის გამგეობისაგან**

**თფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის გამგეობის სადგომში 19 მარტს შუადღეზე იქნება ვაჭრობა (ტორგი) დურგლის მუშაობაზედ, რომელიც დასჭირდება საქალაქო სახლს.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ. (3—1)

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(***Maison de confiance***)

მეადარეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველგან

— — 1 მ. 10 კაპ. — 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა — უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—89)

## ПОКРОВИТЕЛЬ ЖИВОТНЫМЪ

**Ежемѣсячный листокъ Тифлисскаго Общества покровительства животнымъ.**

**Подписная цѣна: въ годъ безъ пересылки 80 к., съ пересылкою — 1 р., отдѣльные №№ по розничной продажѣ — 10 к.**

**Подписка принимается въ конторѣ редакціи помѣщающейся въ торговомъ домѣ Касумова на Эриванской площади въ д. Джакели.** (5—5)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 შენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—35)

**იურიდიული კაბინეტი**

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზეს არხიტექტორის ბილოვის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—5)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **ისყიდება:** პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—74)

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

## ჭყონია

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—5)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

ი გ ა ვ - ა რ ა კ ნ ი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

**საამო განცხადება.**

ვისაც სურს ნამდვილი კახური ბუნებითი, არომატიული ღვინოებით დაატკბოს თავისი გემოვნება, ინებოს და მიირთვას ღვინოები „**ალაზნის**“ სარდაფისა, სოლოლაკის ქუჩაზედ, დეკანოზის ორბელის სახლებში № 14, თავ. ირაკლი გრუზინსკის სახლის პირ-და-პირ. (6—6)

**დასყიდვა აღდგომამდის**

ინგლისურ მაღაზიაში.

ქუდები 1 მან., ფუფაიკები 2 მ. 50-დამ, შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდი; დრაფი, მაუდი, ტრიკო, ჩოთქები და ალბომები ნახევარ ფასად; ხიზალალა 1 ხარისხისა — 70 კ. და ყიდკა — 1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ჩოთქები 30 კაპ. კრესლოები — ტახტები 10, 14 და 18 მან. — კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლეპიოშკები 2 კ., თეთრეულის გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი. ამ დღეებში მივიღებთ ყველს — ჩესტრ 60 კ. გირვანქა. **ახალ - ახალი -** წმინდა და ვერცხლის სანთლები — 35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რკინის ტახტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, ე. ი. საბავშვო 4 მან. და სადიდო 14 მანეთიდამ. (15—8)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაჭანას სიგარები. (100—89)

## სალიანი

საკუთრად თევზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ახლად მივიღეთ სალიანიდამ ნამდვილი სალიანის შამაიები და ისყიდება ნაკლებ ფასად, როგორც პარტიობით ისე წვრილათაც. (5—5)

## ევგენი ბერნექს

ვორონცოვის წყლის ნაპირა ქუჩა, № 46, საკუთარი სახლი ქ. ტფილისში.

**სადურგლო და სამალიარო ქარხანა.**

შპალერებისა და მარმარილოს და თუჯის ავეჯეულებათა. (5—5)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ა[...] ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, [...] რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნე[...] ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდო[...] ბი, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლი[...] ები, სამურველი, ტანისამოსის საკი[...] კოვზები, დანები, კალმები, [...] ქაღალ[...] კანვერტები, რვეულები, კარანდაშე[...] თოფები, რევოლვერები, კრაგები, პ[...] ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლე[...] ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთო[...] ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახო[...] ხულქები, ტუალეტის საპონი, დუხ[...] შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვ[...] ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი [...] ათასი სხვ. რამეები, — **ინგლისის მა[...] ღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნა[...] დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 5[...] მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. [...] კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 6[...] კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხ[...] 2 მ. — წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბო[...] (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრი[...] კიდამ — 120 მან. რევოლვერები 4—3[...] მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალ[...] უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის და[...] ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ[...] დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილ[...] ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფე[...] ბისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—98)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ([...] ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნ[...] სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემო[...] ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებ[...] გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

**ტაქსია**

აკვებაზ ხორაგეულებათა, რომელნ[...] იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუ[...] ნებში და დატარებით 1 მარტიდ[...] 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ[...]
პირველის ხარისხის — 1 გირ. 5½
მეორის „ — 1 გირ. 3½
მესამის „ — 1 გირ. —
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარ[...]
პირველის ხარისხის — 1 გირ. 6
მეორის „ — 1 გირ. 4
ჯვარის-მამის პური:
პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 7
მეორის „ „ — 1 გირ. 5
მესამის „ „ — 1 გირ. 4½
ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის — 1 გირ. 11
მეორის „ — 1 გირ. 9
სუკი — — — 1 გირ. 16
ცხვრის ხორცი — 1 გირ. 13
ღორის ხორცი:
პირველი ხარისხის — 1 გირ. —
მეორის „ — 1 გირ. —